საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თაგუთი

თაგუთი, ნასოფლარი ისტორიულ დმანისისხევში, ახლანდელ დმანისის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს მდ. ფინეზაურის მარცხ. შენაკადის, შავი წყლის (ყარასუ) მარჯვ. სანაპიროზე, ახლანდ. სოფ. საფარლოსა და სოფ. მამიშლოს შორის. აქ, ერთმანეთისგან დაახლ. 1,5 კმ-ზე, ორი ეკლესია დგას. ზედა ეკლესია სოფლის დას-ით მამიშლოს ხილის ბაღებშია. ის ერთნავიანი, დარბაზული ტიპის შენობაა, ნაგებია სრულიად დაუმუშავებელი მოზრდილი ზომის ნატეხი ქვით. შესასვლელი და ერთი სარკმელი სამხრ-იდანაა, თითო სარკმელი – აღმ. და დას. კედლებში. ჩრდ. და სამხრ. კედლებზე და დას. კუთხეებში თითო პილასტრია, რ-ებსაც საბჯენი თაღები ეყრდნობა. საკურთხეველში ორი მცირე ნიშია, კედლებს შელესილობის კვალი ატყვია; ეკლესიის ირგვლივ არის მოზრდილი სასაფლაო ბრტყელი, დაუმუშავებელი ლოდებითა და ვერტიკალურად დაყენებული ქვებით. ამ ადგილზე 1936–37 ლ. მუსხელიშვილმა აღმოაჩინა საფლავის ქვა სომხ. წელთაღრიცხვის ასონიშნებით – 1656. მახლობელ ფერდობზე, სამხრ.-დას-ით დიდი ნასოფლარია, რ-იც, სავარაუდოდ, თ. უნდა იყოს. მის მიწებზე, წყალგაღმა, XIX ს-ში თურქულენოვანმა მოსახლეობამ სოფ. მამიშლო დააარსა. აღწერილი ეკლესიის აღმ-ით მეორე დარბაზული ეკლესიაა. მისი კედლები ნაგებია კირხსნარზე მოზრდილ და ბრტყელ ქვათა რიგების მონაცვლეობით. შესასვლელი და ერთი სარკმელი აქაც სამხრ-იდანაა. დას. კედლის სარკმლის თავზე წყობაში ჩასმული მოწითალო ქვებით ტოლმკლავა ჯვარია გამოსახული. შენობას ტუფის პროფილირებული ლავგარდანი აქვს. გრძივი კედლების შუაში აქაც თითო მარტივი პილასტრია, რ-ებსაც საბჯენი თაღი ეყრდნობა. ეკლესიის ირგვლივ პატარა სასაფლაოა. აქ შესაძლოა, ყოფილიყო მეორე სოფ. თ., რ-იც ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზეა აღნიშნული და მოხსენიებულია სოფლების მისეულ სიაშიც.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი დ., ვარძაგარა, კრ.: დმანისი I, თბ., 1998; მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ლ., არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავერის ხეობაში, თბ., 1941.

დ. ბერძენიშვილი